

6.3 ექსტრემალური სიტუაციის გამო თამაშის დაწყების ან დაწყებული თამაშის შეწყვეტის საკითხს წყვეტს თამაშის მთავარი მსაჯი;

6.4 მსაჯი ვალდებულია, თამაშის დამთავრების თანავე ჩამტარებელ ფედერაციას აცნობოს თამაშის შედეგი. მასპინძელთა გუნდის ხელმძღვანელები ვალდებული არიან დაეხმარონ მსაჯს ამ საქმეში;

6.5 მსაჯი ვალდებულია, თამაშის ოქმში გააფორმოს გუნდის თამაშზე დაგვიანება ან გამოუცხადებლობა, რის შესახებაც უნდა აცნობოს ჩამტარებელ ფედერაციას.

6.6 მსაჯები ვალდებული არიან მატჩის დაწყების წინ ყველა ფეხბურთელი შეამოწმონ მინდორზე ბარათზე აღნიშნული სურათის მიხედვით. ცვლილებების დროს ასისტენტი ვალდებულია შემომსვლელ ფეხბურთელს მოთხოვოს პირადი ბარათი.

6.7.2004 – 05 წელს დაბადებულ ჭაბუკებში დამკვირვებლები დაინიშნება საჭიროებისამებრ. ასევე საჭიროებისამებრ თფფს შეუძლია მატჩებზე მიავლინოს საზოგადოებრივი დამკვირვებლები.

6.8. 2009 და 2010 წელს დაბადებულ ჭაბუკთა შორის ტურნირებზე ნებადართულია მეკარის ხელით თამაში პარტნიორისგან მიღებულ ბურთზე.

6.9. მსაჯი ვალდებულია, მატჩის ოქმი მეორე დღეს წარმოადგინოს თფფ-ში.

## 7. საჩივრის შეტანის წესი

7.1 გუნდის წარმომადგენელი ვალდებულია, საჩივრის შემთხვევაში მატჩის დამთავრებისთანავე გააფრთხილოს მოწინააღმდეგე გუნდის ხელმძღვანელობა და მთავარი მსაჯი.

7.2 მატჩის შესახებ საჩივარი გუნდმა უნდა წარმოადგინოს თფფ-ში 48 საათის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში საჩივარი არ მიიღება. საჩივართან ერთად მომჩივანმა კლუბმა თფფ-ში უნდა შეიტანოს 200 ლარი. საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში თანხა დაუბრუნდება მომჩივან გუნდს.

## 8. სადისციპლინო სანქციები

8.1 გამოყენებული იქნება თფფ-ს მოზარდთა და ბავშვთა ლიგის სადისციპლინო კოდექსი. ცალკეული ინციდენტები (თუ მათ ექნებათ ადგილი) განსახილველად გადაეცემა სფფ-ს სადისციპლინო კომიტეტს.

## 9. დაჯილდოება

9.1 თბილისის ლიგის გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან მედლებით, დიპლომებითა და თასებით.

